




adjarabet.com

კომპანია კოსმოსის მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ 2

1.1 ორგანიზაცია 2

1.2 მფლობელები 2

2. სეგმენტი და მისი ძირითადი მოთამაშეები 3

2.1 სათამაშო ბიზნესი 3

2.2 კომპანიის საქმიანობა 3

3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები 4

4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია 6

5. ფინანსური მაჩვენებლები 7

5.1 კოეფიციენტები 7

5.2 შემოსავლების სტრუქტურა 8

5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა 9

6. კომპანიის ძირითადი რისკები 9

7. კომპანიის თანამშრომლები 11

1. კომპანიის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს კოსმოსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2016 წლის 27 დეკემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართლო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ახვლედიანის აღმართი N6 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 404526866.

კომპანია ოპერირებს სათამაშო ბიზნესში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი საქმიანობა სრულად რეგულირდება შპს“ კოსმოსის“-ის ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა N19-05/284, N19-05/348, N19-05/351 და N19-05/347 საფუძველზე.

კომპანიის მიერ შეთავაზებული ძირითადი პროდუქტები არის: ონლაინ ტოტალიზატორი, EWL(exchange sports betting) და ოფლაინ ტოტალიზატორი (sports betting shops). კომპანია საკუთარ მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებ-გვერდის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

შპს კოსმოსის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, თ. ჭოველიძის ქუჩა №4-ში.

1.2 მფლობელები

2019 წლის მდგომარეობით, კომპანიას მთლიანად ფლობს შპს „ატლასი“ (მშობელი კომპანია), რომელიც შეიქმნა 2018 წლის 13 დეკემბერს. 2019 წლის თებერვალში მშობელი კომპანიის საკონტროლო პაკეტი (51%) შეიძინა შპს „ატლას ჰოლდინგს“-მა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 49%-ს ფლობს შპს „სითი ლოფტი“ (უმცირესობის წილის მფლობელი). ხოლო 51%-ს ფლობს „Flutter Entertainment PLC“ (მაკონტროლებელი პაკეტის მფლობელი), რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშე სათამაშო ბიზნესის ბაზარზე მსოფლიო მასშტაბით და ფლობს შპს „ატლას ჰოლდინგს“-ის 100%-იან წილს. მაკონტროლებელი პაკეტის მფლობელი წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, დარჩენილი ნაწილი კი ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.

შპს კოსმოსის გენერალური დირექტორია არჩილ კახიძე.

2. სეგმენტი და მისი ძირითადი მოთამაშეები

2.1 სათამაშო ბიზნესი

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება.

აზარტული თამაშების ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.

ბაზარზე მსხვილი ოპერატორები არიან „აჭარაბეთი“ (წარმოდგენილი შპს ავიატორის და შპს კოსმოსის მიერ) რომელიც არის ბაზრის ლიდერი, კრისტალბეთი (შპს მარსი) და ევროპაბეთი (შპს ჩემპიონები111).

2.2 კომპანიის საქმიანობა

“აჭარაბეთი” საქართელოში ერთ-ერთი წარმატებული, ინოვაციური, სრულყოფილი და დაცული სათამაშო პორტალია. იგი იყო პირველი საქართველოში, ვინც მომხმარებლებს ფსონების ონლაინ განთავსების შესაძლებლობა მისცა. ბრენდი 1998 წელს შეიქმნა და დღემდე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს სწრაფი გადახდებისა და მომხმარებლების შესანიშნავი მომსახურების უზრუნველყოფის გზით.

როგორც უკვე ვახსენეთ ძირითადი პროდუქტები, რომლებსაც კომპანია სთავაზობს მომხმარებლებს ვებგვერდ www.adjarabet.com –ის საშუალებით არის: ონლაინ ტოტალიზატორი, EWL (exchange sports betting) და ოფლაინ ტოტალიზატორი (sports betting shops).
რაც შეეხება კაზინოსა და peer-to-peer თამაშების ნაწილს, რომელიც ასევე წარმოდგენილია ვებგვერდზე, მისი მფლობელია შპს ავიატორი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2 ახალი პროდუქტი, რომლებიც კომპანიამ შესთავაზა მომხმარებლებს 2019 წელს, არის :

1. EWL (exchange sports betting) ანუ ე.წ. „სპორტული ბირჟა“ აძლევს მომხმარებლებს შესაძლებლობას, ეთამაშონ ერთმანეთს და არა ბუკმეიკერს. ამ შემთხვევაში, აჭარაბეთი უბრალოდ სთავაზობს მომხმარებლებს პლატფორმას, სადაც ისინი განათავსებენ თავიანთ ფსონებს ერთმანეთის წინააღმდეგ და ამაში იღებს საკომისიოს. პროდუქტი ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის 2019 წლის სექტემბრიდან.
2. Offline sport , ანუ ოფლაინ ტოტალიზატორი. 2019 წლის ოქტომბერში კომპანიამ ქალაქში გარკვეულ ლოკაციებზე განათავსა ე.წ. betting shop-ები, ანუ ბეთინგისთვის განკუთვნილ დანადგარები, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ფსონი ადგილზევე, არა ონლაინ, არამედ ოფლაინ რეჟიმში.

ეს პროდუქტები არის ინოვაცია საქართველოს ბაზარზე და წარმოადგენს აჭარაბეთის ექსკლუზივს.

3. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტ კომპანიას და საგადასახადო პოლიტიკა და სტრუქტურაც განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.
შპს კოსმოსმა 2019 წლისთვის ბიუჯეტში ჯამურად 17 მილიონი ლარი შეიტანა.

კომპანიიის საქმიანობებისთვის ძირითადად რელევანტურია:

სათამაშო ბიზნესის გადასახადები - როგორც უკვე აღინიშნა, კომპანია ფლობს ყველა საჭირო ნებართვას, რომ განახორციელოს ბიზნეს საქმიანობა. სათამაშო ბიზნესის სფეროში ნებართვები გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის ორგანიზებისათვის ცალკე ნებართვა არ გაიცემა. იმისათვის, რომ მოეწყოს სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა, საჭიროა რეალური ობიექტის არსებობა. კოსმოსის შემთხვევაში ეს ობიექტია მიწის კაზინო, რომელიც მდებარეობს სტეფანწმინდაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში.

ნებართვის სახე	ნებართვის ნომერი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მისამართი
ტოტალიზატორის მოწყობის ლიცენზია	19-05/284	28-დეკ-2016	27-დეკ-2021	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, დაბა სტეფანწმინდა, გორგასალის ქN1, პირველი სართული, დარბაზი N3
ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა	19-05/348	2-ოქტ-2019	1-ოქტ-2024	ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი N1, N033/109 ნაკვეთზე არსებული შენობა N1, სარდაფი N1,დარბაზი N5
ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა	19-05/351	23-ოქტ-2019	22-ოქტ-2024	ქ.თბილისი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნულოვანი სართული, RO-4 და RO-5 ნაწილები
ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა	19-05/347	20-სექ-2019	19-სექ-2024	ქ.თბილისი,გლდანის 1-ლი და მე-2 მკ/რ-ს შორის, N013/008 ნაკვეთზე არსებული შენობა N1, პირველი სართული, გაერთიანებული დარბაზი N1 და N2

სათამაშო ბიზნესს არეგულირებს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:
1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;2. „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველო კანონი; 3. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი; 4. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი; 5. „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“; 6. საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბერის N611-1013 ერთობლივი ბრძანება; 7. „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების მოწყობი (ორგანიზატორი) პირების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების და „სამორინეების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესისა და პირობების შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2004 წლის 28 ივლისის N94 ბრძანება.

ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი - ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავალიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2019 წლის განმავლობაში.

საშემოსავლო გადასახადი - დაქირავებულ პირთათვის ხელფასის სახით ანაზღაურების გაცემისას, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ფიზიკური პირების მომსახურების ანაზღაურებისას კომპანიები აკავებენ საშემოსავლო გადასახადს 20% ოდენობით;
არარეზიდენტის შემოსავალი შესაძლებელია დაექვემდებაროს დაბეგვრას გადახდის წყაროსთან 15%-იანი, 10%-იანი და 5%-იანი განაკვეთით, ამასთან გაითვალისწინება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათები და მათი გამოყენების წესი.
2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე დამსაქმებელს და სახელმწიფოს დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2% თითოეულს. აღნიშნული მიზნისთვის კანონის საფუძველზე შეიქმნა დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებაზე, მართვასა და ადმინისტრირებაზე და ორგანიზებულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს მონაწილეთა საპენსიო აქტივების უსაფრთხოება და მათზე გრძელვადიანი საინვესტიციო ამონაგები.

დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი) - კომპანიები ახორციელებენ 18%-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ოპერაციებს, ჩათვლის

უფლების გარეშე განთავისუფლებულ ოპერაციებსა და ოპერაციებს, რომლებიც არ განიხილება დღგ-ით დასაბეგრად.

ქონების გადასახადი - კომპანიის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მათ მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე კომპანია იხდიან ქონების გადასახადს საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებიდან არა უმეტეს 1% ოდენობით;

4. კომპანიის განვითარების გეგმები და სტრატეგია

კომპანიაში მუდმივად მიმდინარეობს სტრატეგიების შეფასებისა და შემუშავების პროცესი. სწორი სტრატეგიის შემუშავებისათვის მთავარი ფაქტორები, რომლებსაც კომპანია ითვალისწინებს არის არსებული სიტუაციისა და საფრთხეების ანალიზი და დასახული მიზნების მისაღწევად კონკრეტული ამოცანების ჩამოყალიბება. მას შემდეგ, რაც კომპანია გახდა „Flutter Entertainment PLC“-ის შვილობილი, მისი გეგმებისა და სტრატეგიების არეალიც გაიზარდა და თანხვედრაში მოვიდა მშობელი კომპანიის მიზნებსა და ხედვასთან. გარდა იმისა, რომ შეინარჩუნოს ბაზრის ლიდერის პოზიციები , კომპანია გახდა მეტად ორიენტირებული ახალი ბაზრებისა და ტერიტორიების ათვისებაზე, ცნობადობის გაზრდაზე.

კომპანიის ხედვა მოიცავს ორ ძირითად კრიტერიუმს:

- ის იქნება ბაზრის უპირობო ლიდერი; და
- აღმოაჩენს ახალ შესაძლებლობებს და გაზრდის ბრენდს ახალ ტერიტორიებზე.

როგორ აპირებს კომპანია ამ კრიტერიუმების მიღწევას?

1. ის უნდა იყოს ყველაზე სასურველი ბრენდი მრავალფეროვანი პროდუქტების მოყვარული მომხმარებლებისთვის;
2. უნდა ამოიცნოს და დააკმაყოფილოს ლოკალური მომხმარებლების ძირითადი მოთხოვნები.

ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომხმარებელზე ორიენტირებულ, mobile-first გამოცდილების შექმნას, რაც კომპანიის სერვისს უფრო ხელმისაწვდომს გახდის ყველასთვის და ყველგან.

კომპანიის ორი ძირითადი მიზანია:

- მულტიფუნქციური სპორტის მომხმარებლების გაზრდა;
- ახალი ბაზრებისა და შესაძლებლობების ათვისება.

ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია მულტი-პროდუქტების განვითარება ერთგვაროვანი cross-sell გამოცდილების შესაქმნელად, მობილური გამოცდილების სრულყოფა და სპორტის ბრენდის სანდოობის განმტკიცება ჯგუფის ბრენდისა და ბერკეტების გამოყენებით. ასევე,

მნიშვნელოვანია განვითარება ახალ ბაზრებზე, გუნდის გამოცდილებისა და ინსაიტების გამოყენება ახალ ბაზრებზე გასვლის იდენტიფიცირებისთვის და ლოკალური მომხმარებლების ძირითადი მოთხოვნების განსაზღვრა და მათი დაკმაყოფილება.

ამ მიზნების წარმატების გასაზომად კომპანია მუდმივად აფასებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ბრენდის აღქმა, როგორც „მომხმარებელზე ორიენტირებული“ ;
- ბრენდის აღქმა, როგორც „საუკეთესო სპორტსბუქი“ ;
- პროდუქტების რაოდენობა ერთ მომხმარებელზე ,თითო დღეში ;
- ახალი ბაზრების ათვისების სისწრაფე და წილის ზრდა ახალ ტერიტორიებზე.

აქვე კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის განმავლობაში კომპანიამ შესთავაზა თავის მომხმარებელს ორი ახალი და ინოვაციური პროდუქტი, კერძოდ, EWL (Exchange sports betting) , რომელიც არის ინტერაქტიული ხასიათის ბეთინგი და მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, ეთამაშონ ერთმანეთს და არა პროგრამას და ასევე ოფლაინ სპორტი, რომელიც გულისხმობს ბეთინგ შოფებს, ანუ ბეთინგისთვის განკუთვნილ დანადგარებს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ ფსონი ადგილზევე, არა ონლაინ, არამედ ოფლაინ რეჟიმში.

5. ფინანსური მაჩვენებლები

5.1 კოეფიციენტები

წლისათვის (ლარში'000)	2019	2018	2017
შემოსავალი	22,574	23,033	23,825
EBITDA	- 4,650	- 8,273	- 6,943
EBIT	- 5,036	- 8,280	- 6,951
წმინდა ზარალი	- 5,168	- 8,552	- 7,131
საოპერაციო საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრები	- 5,389	- 2,403	3,337
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	2,115	2	16

წლის ბოლოსთვის (ლარში'000)	2019	2018	2017
ჯამური აქტივები	4,640	116	22,909
ჯამური ვალდებულება	25,276	15,584	29,845
ჯამური კაპიტალი	- 20,636	- 15,468	- 6,936

ფინანსური კოეიფიცენტები	2019	2018	2017
შემოსავლის ზრდა	-2%	-3%	n/a
EBITDA მარჟა	-21%	-36%	-29%
წმინდა მოგების მარჟა	-23%	-37%	-30%
საოპერაციო საქმიანობის კოეფიციენტი	-24%	-10%	14%

გამოთვლები:
EBIT გამოითვლება საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალს დამატებული ძირითადი საშუალებების ცვეთა.
EBITDA გამოითვლება საოპერაციო საქმიანობით მიღებულ წმინდა შემოსავალს დამატებული ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, ასევე დამატებული ძირითადი საშუალებების გაუფასურება.

5.2 შემოსავლების სტრუქტურა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორის პლატფორმას ვებგვერდის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით.

კომპანიის ონლაინ და ოფლაინ ტოტალიზატორის (sports betting shops) საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღიარებით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც გადახურული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში. ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს გამოკლებულია მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების“) და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს დაქვითვის შემდგომ.

შემოსავლები EWL(exchange sports betting)-დან წარმოადგენს ფსონის დადების შედეგად გამომუშავებულ საკომისიოს. შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი იღებს კონტროლს საქონელსა თუ სერვისზე და შესაბამისად, აქვს შესაძლებლობა სურვილისამებრ წარმართოს ის, მიიღოს მისგან სარგებელი. საკომისიო აღიარდება მაშინ, როდესაც დადგება დაფსონილი ღონისძიების საბოლოო შედეგი.

5.3 გაყიდვების თვითღირებულების სტრუქტურა

რაც შეეხება გაყიდვების თვითღირებულებას, ის ძირითადად მოიცავს აზარტული თამაშების გადასახადებს (ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი), საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლებს, ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოებს (საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლები და ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოები შეიცავს უკუდაბეგვრის დღგ-ს და არარეზიდენტის გადასახადს, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) და პირდაპირ დარიცხულ ხელფასს. ლიცენზიების ხარჯი წარმოდგენილია საცალო საბუკმეიკერო ხარჯების და აზარტული თამაშების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯის სახით.

6. კომპანიის ძირითადი რისკები

სათამაშო ბაზრისა და ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, შპს კოსმოსისთვის რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვა კომპანიას შეუძლია სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით.

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. თუმცა, გამომდინარე ამ მოთხოვნების სპეციფიკიდან და მისი მაღალი ლიკვიდურობიდან, მენეჯმენტი თვლის, რომ საკრედიტო რისკი ამ კუთხით მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულის ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

2019 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მოახდინა ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლების და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. კომპანიის საოპერაციო შედეგები 2018 წლის 31 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე იყო უარყოფითი. ამასთანავე, 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიას გააჩნია წმინდა ვალდებულება ლიკვიდურობის პოზიციაში. შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად, და რომ ხელმძღვანელობის შეფასება საწარმოს უწყვეტობის პრინციპის შესახებ წარდგენის თარიღისთვის სათანადოა.

ხელმძღვანელობის დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს:

- მშობელმა კომპანიამ გამთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური და სხვა ტიპის მხარდაჭერა.
- ხელმძღვანელობის გეგმის თანახმად, კომპანია განაგრძობს საქმიანობას მომავალშიც, იმ მიზნით, რომ მომხმარებლებს მიაწოდოს ონლაინ თამაშების სრული სერვისი ვებგვერდის - www.adjarabet.com-ის საშუალებით.

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, რადგან შესყიდვების ნაწილი დენომინირებულია ვალუტაში, რომელიც განსხვავდება კომპანიის სამუშაო ვალუტისგან. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.რისკის დაზღვევის მიზნით, მენეჯმენტი ბიუჯეტირების პროცესში, მაქსიმალურად ითვალისწინებს ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის განვითარების პესიმისტურ სცენარს და პერიოდულად ახდენს თავისუფალი ფულადი სახსრების კონვერტირებას უცხოურ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ძირითადად იქონიებს გავლენას გაცემული და მიღებული სესხებისა და კრედიტების ბალანსზე, მათ სამართლიან ღირებულებაზე (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში) ან მომავალ ფულად ნაკადებზე (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში). ხელმძღვანელობას არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნაშთების რაოდენობრივ თანაფარდობას. თუმცა, სესხის მოზიდვის მომენტში ხელმძღვანელობა ატარებს წინასწარ ანალიზს, იმ მიზნით რომ დადგინდეს, თუ როგორი საპროცენტო განაკვეთი იქნება მეტად მომგებიანი კომპანიისთვის სესხის მომსახურების პერიოდის განმავლობაში.

ასევე, აქვე უნდა აღინიშნოს 2020 წლის დასაწყისში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე. მარტის შუა რიცხვებიდან საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები კორონავირუსთან საბრძოლველად, კერძოდ, აიკრძალა საერთაშორისო მიმოსვლა და გაიცა რეკომენდაციები , რომ კომპანიები გადასულიყვნენ სახლიდან მუშაობის რეჟიმზე. ასევე, დაიკეტა სკოლები, უნივერსიტეტები, რესტორნები, კინოთეატრები, მუზეუმები და ა.შ.

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლები მიმდინარე მოვლენების ფონზე და არ ელოდება COVID-19-ით გამოწვეულ მნიშვნელოვნად უარყოფით ეფექტს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს , თუ რა შედეგი დადგება იმ შემთხვევაში , თუ შეზღუდვები ხანგრძლივად დარჩება ძალაში. ამიტომ ,მენეჯმენტი განიხილავს მოვლენების განვითარების ნეგატიურ შესაძლებლობასაც, რათა კომპანია მარტივად ადაპტირდეს ახალ რეალობაში.

7. კომპანიის თანამშრომლები

2019 წლის ბოლოს შპს კოსმოსში საშუალოდ დასაქმებული იყო 27 ადამიანი, ხოლო 2018 წელს- 15 . თანამშრომლების გენდერული განაწილება ქალბატონებსა და მამაკაცებს შორის არის 30%-70%.

შპს კოსმოსი ორიენტირებულია თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2019 წელს თანამშრომელთა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19 პანდემიის გამო, 2020 წლის მარტიდან კომპანია სრულად გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, რაც დიდი გამოწვევა იყო ყოველი თანამშრომლისთვის, თუმცა, ამ სირთულესაც კომპანია წარმატებით გაუმკლავდა და ამან არ იქონია არანაირი უარყოფითი გავლენა მის საოპერაციო საქმიანობასა თუ ფინანსურ მაჩვენებლებზე. მენეჯმენტი აქტიურად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას, მათ შორის, დისტანციურად მუშაობის კუთხითაც, და ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის პოზიციას.

_____

გენერალური დირექტორი

არჩილ კახიძე

კომპანიის მენეჯმენტმა შეაფასა საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლები მიმდინარე მოვლენების ფონზე და არ ელოდება COVID-19-ით გამოწვეულ მნიშვნელოვნად უარყოფით ეფექტს კომპანიის საქმიანობაზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს , თუ რა შედეგი დადგება იმ შემთხვევაში , თუ შეზღუდვები ხანგრძლივად დარჩება ძალაში. ამიტომ ,მენეჯმენტი განიხილავს მოვლენების განვითარების ნეგატიურ შესაძლებლობასაც, რათა კომპანია მარტივად ადაპტირდეს ახალ რეალობაში.

7. კომპანიის თანამშრომლები

2019 წლის ბოლოს შპს კოსმოსში საშუალოდ დასაქმებული იყო 27 ადამიანი, ხოლო 2018 წელს- 15 . თანამშრომლების გენდერული განაწილება ქალბატონებსა და მამაკაცებს შორის არის 30%-70%.

შპს კოსმოსი ორიენტირებულია თანამშრომლების კომპეტენციისა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. 2019 წელს თანამშრომელთა ნაწილმა მიიღო როგორც პროფესიული უნარების გაუმჯობესების, ასევე სამაგისტრო და სასერტიფიკატო პროგრამების დაფინანსება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ COVID-19 პანდემიის გამო, 2020 წლის მარტიდან კომპანია სრულად გადავიდა მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე, რაც დიდი გამოწვევა იყო ყოველი თანამშრომლისთვის, თუმცა, ამ სირთულესაც კომპანია წარმატებით გაუმკლავდა და ამან არ იქონია არანაირი უარყოფითი გავლენა მის საოპერაციო საქმიანობასა თუ ფინანსურ მაჩვენებლებზე. მენეჯმენტი აქტიურად ატარებს თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევას, მათ შორის, დისტანციურად მუშაობის კუთხითაც, და ითვალისწინებს თითოეული თანამშრომლის პოზიციას.

გენერალური დირექტორი

არჩილ კახიძე

შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

შპს “კოსმოსი”

ჩვენი საცნობარო ნომერი: ge/I/038/20

ახვლედიანის აღმართი N6

31/08/2020

მმართველობითი ანგარიშგების უწყისი

ძვირფასო ბატონებო,

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს 2020 წლის 25 აგვისტოს გამოცემულ „მმართველობით ანგარიშგებაზე“. ჩვენ გამოვეცით ეს უწყისი, რადგან მმართველობითი ანგარიშგება დათარიღებული 2020 წლის 25 აგვისტოთი, გამოცემულია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ, რომელიც გამოთქმულია ჩვენს აუდიტორული დასკვნაში, 2020 წლის 22 მაისს, არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას.

აუდიტორთა დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს იმ მოვლენების ეფექტს, რომელიც წარმოიშვა 2020 წლის 22 მაისის შემდეგ. მმართველობით ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენათა ეფექტი, რომელიც ფინანსური აუდიტის დასკვნის თარიღის შემდეგ განხორციელდა, არ შემოწმებულა ჩვენს მიერ.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშგების გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგება ფინანსურ ანგარიშგებას, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან რაიმე სახით არის თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებითად დამახინჯებული.

ჩვენ არ გამოვცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშგების შესახებ. ჩვენ წავიკითხეთ მმართველობის ანგარიში და ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვენით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და ის არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

პატივისცემით,

კარენ საფარიანი
აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი
შპს „KPMG Georgia“

შპს „KPMG საქართველო“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

შპს “კოსმოსი”

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

შპს „KPMG საქართველო“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს “კოსმოსის” აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს კოსმოსის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

საკითხის მნიშვნელობა

ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2(b) შენიშვნაზე, რომელიც აღწერს კომპანიის ხელმძღვანელობის გეგმებს კომპანიის მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიასთან შერწყმასთან დაკავშირებით. ჩვენი დასკვნა არ შეცვლილა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. „მმართველობითი ანგარიში“ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „მმართველობით ანგარიშს“ და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

შპს „KPMG საქართველო“, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „KPMG“-ის ქსელის დამოუკიდებელი ფირმების წევრი, რომელიც ერთიანდება შვეიცარიულ ორგანიზაციაში „KPMG International Cooprative („KPMG International“).

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს მმართველობითი ანგარიშის გაცნობას მას შემდეგ, რაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განსაზღვრას, შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიში ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნას ყველა არსებით ასპექტში, ან მოიცავს თუ არა ხსენებული დოკუმენტი არსებით უზუსტობებს.

„მმართველობითი ანგარიშის" წაკითხვისას, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება „საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ".

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან, ჩვენ:

— ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვასა და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საღრიცხვო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერ წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული შედეგების შესახებ, მათ შორის, ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნებისმიერ მნიშვნელოვან ხარვეზს.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც დამოუკიდებელ აუდიტორთა მოცემული დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს „KPMG Georgia“
თბილისი, საქართველო
22 მაისი 2020 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,662	2
აქტივი გამოყენების უფლებით	18	1,560	-
არამატერიალური აქტივები		226	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		**3,448**	**2**
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	951	13
შეზღუდული ფულადი სახსრები		-	100
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	241	1
სულ მიმდინარე აქტივები		**1,192**	**114**
სულ აქტივები		**4,640**	**116**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი	13		
საწესდებო კაპიტალი		215	215
დაგროვილი ზარალი		(20,851)	(15,683)
სულ კაპიტალი		**(20,636)**	**(15,468)**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	18	1,393	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**1,393**	**-**
მიმდინარე ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	18	242	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	15,463	7,687
ვალდებულება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ	15	7,122	3,937
საგადასახადო ვალდებულებები	16	1,043	783
მომხმარებელთა ნაშთები		13	-
სესხები და კრედიტები	17	-	3,177
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**23,883**	**15,584**
სულ ვალდებულებები		**25,276**	**15,584**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,640**	**116**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018*
შემოსავალი	6	22,574	23,033
გაყიდვების თვითღირებულება	7(a)	(22,540)	(29,480)
ბრუტო შემოსავალი		**34**	**(6,447)**
სხვა შემოსავალი		2	69
ადმინისტრაციული ხარჯები	7(b)	(1,031)	(743)
მარკეტინგის ხარჯები	7(c)	(1,364)	(657)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7(d)	(2,677)	(502)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(5,070)**	**(1,833)**
საოპერაციო საქმიანობების შედეგები		**(5,036)**	**(8,280)**
ფინანსური შემოსავალი		-	2,251
ფინანსური ხარჯები		(132)	(2,523)
წმინდა ფინანსური ხარჯები	9	**(132)**	**(272)**
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(5,168)**	**(8,552)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი		**(5,168)**	**(8,552)**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 22 მაისს და მისი სახელით ანგარიშგებას ხელი მოაწერეს:

აღმასრულებელი დირექტორი
არჩილ კახიძე

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10 - 43.

'000 ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	195	(7,131)	(6,936)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში			
ზარალი წლის განმავლობაში	-	(8,552)	(8,552)
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა (იხილეთ შენიშვნა 13(a))	20	-	20
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან	**20**	**-**	**20**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**215**	**(15,683)**	**(15,468)**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს*	215	(15,683)	(15,468)
სულ სრული ზარალი წლის განმავლობაში			
წლის ზარალი	-	(5,168)	(5,168)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**215**	**(20,851)**	**(20,636)**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10 - 43.

'000 ლარი	შენიშვნა	2019	2018*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
წლის ზარალი დაბეგვრამდე		(5,168)	(8,552)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		387	7
წმინდა ფინანსური ხარჯები		132	272
		(4,649)	**(8,273)**
ცვლილებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		70	(13)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(999)	7,768
მომხმარებელთა ნაშთებში		13	-
საგადასახადო ვალდებულებებში		260	(1,518)
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადისა და პროცენტის გადახდამდე		**(5,305)**	**(2,036)**
გადახდილი პროცენტი		(84)	(367)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		**(5,389)**	**(2,403)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,869)	(2)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(246)	-
ნამეტი გადახდა დაკავშირებულ მხარეზე (შენიშვნა 11)		(908)	-
აქციონერზე გაცემული სესხი		-	(7,332)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(3,023)**	**(7,334)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-	20
მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიისგან მიღებული დაფინანსება (შენიშვნა 15)		8,827	9,498
შემოსულობები სესხები და კრედიტებიდან		-	1,439
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა		(86)	-
მიღებული ოვერდრაფტი		-	(1,200)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები /(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)		**8,741**	**9,757**
წმინდა ზრდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		**329**	**20**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1	4
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(89)	(23)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	12	**241**	**1**

*კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვარს მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით. გადასვლის შერჩეული მეთოდების ფარგლებში, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული, იხილეთ შენიშვნა 5.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 10 - 43.

შენიშვნა		გვერდი
1.	ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11
2.	მომზადების საფუძველი	12
3.	სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	13
4.	შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	13
5.	ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში	14
6.	შემოსავალი	16
7.	ხარჯები	16
8.	პერსონალის ხარჯები	17
9.	წმინდა ფინანსური ხარჯები	17
10.	ძირითადი საშუალებები	18
11.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
12.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
13.	კაპიტალი	19
14.	კაპიტალის მართვა	19
15.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
16.	საგადასახადო ვალდებულებები	20
17.	სესხები და კრედიტები	20
18.	იჯარები	21
19.	სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	22
20.	პირობითი ვალდებულებები	27
21.	დაკავშირებული მხარეები	28
22.	შემდგომი მოვლენები	29
23.	შეფასების საფუძველი	30
24.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	30
25.	ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	43

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა, ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს კოსმოსი (შემდგომში „კომპანია") წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას "მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2016 წლის 27 დეკემბერს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ახვლედიანის აღმართი N6 და კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 404526866.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორის პლატფორმას, ვებგვერდ - www.adjarabet.com-ის მეშვეობით.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მთლიანად ფლობდა შპს „ატლასი" (მშობელი კომპანია), რომელიც დაფუძნებულია 2018 წლის 13 დეკემბერს საქართველოში. 2019 წლის თებერვალში, შპს „ატლას ჰოლდინგს"-მა შეიძინა მშობელი კომპანიის მაკონტროლებელი წილი (51%). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის 49%-იანი წილის (2018 წლის 31 დეკემბერი: 100%) მფლობელია შპს „სითი ლოფტი" (უმცირესობაში მყოფი აქციონერი). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელია „Flutter Entertainment PLC" (უმრავლესობაში მყოფი აქციონერი), მსოფლიოს ერთ–ერთი უმსხვილესი კომპანია სათამაშო ბიზნესისა და სპორტული ფსონების მიმართულებით, რომელიც მოქმედებს როგორც ონლაინ, ასევე საცალო სექტორში და რომელიც ფლობს მაკონტროლებელ წილს კომპანიაში (51%) მისი 100%-იანი წილის საშუალებით შპს „ატლას ჰოლდინგში". უმრავლესობაში მყოფი აქციონერი არის საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია და მდებარეობს ირლანდიის რესპუბლიკაში და მისი აქციების ძირითადი ნაწილი კვოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე, ხოლო დარცენილი ნაწილი - ირლანდიის საფონდო ბირჟაზე. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ გამოშვებული აქციების 5%-ზე მეტს:

მფლობელობის წილი (%) 31 დეკემბერს	2019
„The Capital Group Companies, Inc"	13.05%
„Parvus Asset Management Europe Limited"	8.85%
„Massachusetts Financial Services Company"	7.99%
„BlackRock Inc."	6.07%
„Citigroup Global Markets Limited"	5.24%
„Caledonia (Private) Investments Pty Limited"	5.10%

სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობენ განთავსებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

კომპანიის დაფინანსებისა და ვალდებულებების დიდი ნაწილი (და მისი საკრედიტო დაქვემდებარებები) დაკავშირებულია უმრავლესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის ქვეშ არსებული ჯგუფის სხვა კომპანიებთან. შესაბამისად, კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც უმრავლესობაში მყოფი აქციონერი აკონტროლებს. ამასთანავე, კომპანიის საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული უმრავლესობაში მყოფი აქციონერის კონტროლის ქვეშ მყოფი ჯგუფის მოთხოვნებთან და კომპანიის მომსახურების საფასურის განსაზღვრა ხდება უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ კონტროლირებად ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებთან ერთად.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგების ნაკრები სადაც გამოყენებულია ფასს 16 „იჯარები". დაკავშირებული ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში აღწერილია მე-5 შენიშვნაში.

(b) კომპანიის შერწყმა მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიასთან

2019 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ კომპანიის მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიასთან, შპს „ავიატორთან" შერწყმა დაგეგმა. შპს „ავიატორი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ შერწყმის პროცესი 2020 წელს დასრულდება. შერწყმის შედეგად კომპანია შეწყვეტს მის იურიდიულ არსებობს, თუმცა კომპანიის ბიზნეს საქმიანობა გაგრძელდება შპს „ავიატორის" საქმიანობის ფარგლებში, რომელიც მოქმედ იურიდიულ პირს წარმოადგენს.

(c) ცვლილებები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების წარდგენაში

კომპანია მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიისგან (შპს „ავიატორი) ზედმეტად მიღებულ ფულად სახსრებს ფინანსური მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში განიხილავს (იხილეთ შენიშვნა 15), რათა ასახოს ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები. 2019 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიისგან მიღებული ნამეტი გადახდები, რომლებიც ადრე საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების ფარგლებში იყო წარმოდგენილი, ამჟამად ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებშია წარმოდგენილი. შესადარისი ინფორმაცია შესაბამისად დაკორექტირდა. კომპანიას სჯერა, რომ ამგვარი წარდგენა უფრო შეესაბამება გარიგების არსს.

	2018		
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება '000 ლარი	**ადრე წარმოდგენილის შესაბამისად**	**რეკლასიფიცირე-ბული ოდენობა**	**ამჟამად წარმოდგენილის შესაბამისად**
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები	7,095	(9,498)	(2,403)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი ნაკადები	259	9,498	9,757

ზემოაღნიშნულს არ ჰქონია გავლენა ფინანსური მდგომარეობისა და მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა, ისევე, როგორც წარსადგენი ვალუტა, მოცემული ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის, არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(b) - უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ კონტროლირებულ ჯგუფზე დამოკიდებულება;
- შენიშვნა 6 – შემოსავალი;
- შენიშვნა 19 (ბ)(ii) - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნებისთვის; და
- შენიშვნა 19 (ბ)(iii) – ლიკვიდურობის რისკი და უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მსჯელობები.

ინფორმაცია იმ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებულ გაურკვევლობებზე, რომლებიც ატარებენ შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს შეტანილია მე-10 შენიშვნაში - ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურება.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის.

სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- *დონე 1*: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- *დონე 2*: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);
- *დონე 3*: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნებში:

- *შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები;*
- *შენიშვნა 19 - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება.*

5. ცვლილებები მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებში

გარდა ქვემოთ წარმოდგენილი ცვლილებებისა, კომპანია თანმიმდევრულად იყენებდა სააღრიცხვო პოლიტიკებს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ფასს 16

კომპანიამ თავდაპირველად ფასს 16 2019 წლის 1 იანვრიდან გამოიყენა.

ფასს 16-ს შემოაქვს ერთიანი, საბალანსო იჯარების აღრიცხვის მოდელი მოიჯარეებისთვის. შედეგად, კომპანია როგორც მოიჯარე აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით, რაც ასახავს მის უფლებას გამოიყენოს აღნიშნული აქტივები და საიჯარო ვალდებულებებს, რაც ასახავს მის ვალდებულებას განახორციელოს საიჯარო გადახდები. მეიჯარეს ანგარიშგება რჩება მსგავსი ადრე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკებისა. კომპანიამ მიიღო ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და აქტივი გამოყენების უფლებით შეაფასა საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით (კორექტირებული ავანსებით და დარიცხვებით). შესაბამისად, 2018 წლისთვის წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია არ ყოფილა გადაანგარიშებული - ანუ წარმოდგენილია ადრე აღრიცხულის შესაბამისად, ბასს 17-ის და დაკავშირებული ინტერპრეტაციების ფარგლებში. სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებების დეტალები განმარტებულია ქვემოთ. დამატებით, ფასს 16-ის განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნები არ ყოფილა გამოყენებული შესადარის ინფორმაციაზე.

(a) იჯარის განმარტება

ადრე, კომპანია ხელშეკრულების დადებისას განსაზღვრავდა იყო თუ არა ან შეიცავდა თუ არა გარიგება იჯარას ბასს 17 *იჯარების* და ფასიკ 4 *როგორ განვსაზღროთ შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას* - ფარგლებში. კომპანია ამჟამად აფასებს არის თუ არა ან შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას იჯარის ახალი განმარტების მიხედვით, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 24(k).

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ გარიგებების იჯარებად კლასიფიკაციისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება აირჩია. კომპანიამ ფასს 16 მხოლოდ ადრე იჯარებად კლასიფიცირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში გამოიყენა. ხელშეკრულებები რომლებიც არ იყო კლასიფიცირებული იჯარებად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არ გადაფასებულა იჯარის არსებობაზე ფასს 16-ის ფარგლებში. მაშასადამე, იჯარის განმარტება ფასს 16-ის ფარგლებში გამოყენებულ იქნა მხოლოდ 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ დადებულ ან შეცვლილ ხელშეკრულებებზე.

(b) როგორც მოიჯარე

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები ძირითადად უკავშირდება საოფისე სივრცეების, სალაროების და სლოტ აპარატების იჯარებს.

კომპანია ადრე იჯარებს საოპერაციო იჯარების სახით აკლასიფიცირებდა მისი შეფასების მიხედვით გადასცემდა თუ არა იჯარა კომპანიას შესაბამისი აქტივის მფლობელობის არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას. ფასს 16-ის ფარგლებში, კომპანია აღნიშნული იჯარების უმეტესობისთვის აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს - ანუ აღნიშნული იჯარები არის საბალანსო.

ორივე, აქტივები გამოყენების უფლებით და ასევე დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ცალკე ერთეულების სახით.

იჯარების ხანდაზმულობის ანალიზი განმარტებულია 19(ბ)(iii).შენიშვნაში.

(i) ბასს 17-ის ფარგლებში საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები

გასულ პერიოდში კომპანია იჯარებს, ბასს 17-ის ფარგლებში, საოპერაციო იჯარებად აკლასიფიცირებდა. კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას ფასს 16-ის მიხედვით, გრძელვადიანი ხელშეკრულებებისთვის. რადგან ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ეფექტური საიჯარო პირობების განსაზღვრისთვის, ფასს 16-ის მიზნებისთვის გამოყენებული საიჯარო პირობები შეიძლება განსხვავდებოდეს სახელშეკრულებო მინიმალური საიჯარო პერიოდებისგან.

აღნიშნული იჯარებისთვის, ფასს 16-ზე გადასვლისას, საიჯარო ვალდებულებები შეფასდა დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული კომპანიის 2019 წლის 1 იანვარს არსებული მზარდი სასესხო განაკვეთით. აქტივები გამოყენების უფლებით ფასდება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადახდების ოდენობით.

კომპანია იყენებს რიგ პრაქტიკულ ხერხს რათა დააკლასიფიციროს ფასს 16-ით ის იჯარები,რომლებიც გასულ პერიოდში ადრე ბასს 17-ით კლასიფიცირდებოდა,როგორც საოპერაციო იჯარა. კერძოდ, კომპანია:

- არ აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და ვალდებულებებს იჯარებისთვის, რომლებისთვისაც საიჯარო ვადა თავდაპირველი გამოყენების თარიღიდან 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში მთავრდება;
- არ აღიარებს აქტივებს გამოყენების უფლებით და ვალდებულებებს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის.

(c) გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

გავლენა გადასვლისას

ფასს 16-ზე გადასვლისას, კომპანიამ აღიარა დამატებითი აქტივები გამოყენების უფლებით და დამატებითი საიჯარო ასს 16-ზე გადასვლის გავლენა შეჯამებულია ქვემოთ:

'000 ლარი	1 იანვარი 2019
აქტივები გამოყენების უფლებით,ნეტო	20
საიჯარო ვალდებულებები	(20)

საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას, კომპანიამ განახორციელა საიჯარო გადახდების დისკონტირება მისი 2019 წლის 1 იანვარს არსებული, მზარდი სასესხო განაკვეთის გამოყენებით. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 14% და 10%, ლარში და აშშ დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის, შესაბამისად.

6. შემოსავალი

'000 ლარი	2019	2018
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან*	22,256	23,033
შემოსავალი ოფლაინ ტოტალიზატორიდან	125	-
სულ შემოსავალი ტოტალიზატორიდან	**22,381**	**23,033**
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან	193	-
სულ შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**193**	**-**
სულ შემოსავალი ტოტალიზატორიდან	**22,574**	**23,033**

*ონლაინ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია, როგორც წმინდა შემოსულობა ან ზარალი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კლიენტებისთვის განკუთვნილი ბონუსების - 1,425 ათასი ლარი და 2,352 ათასი ლარი და „ფრიბეთების" - 3,151 ათასი ლარი და 3,463 ათასი ლარის გამოკლებით, შესაბამისად.

შემოსავლის ძირითადი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ონლაინ მომხმარებლებს უკავშირდება. ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არსებობს სახელშეკრულებო ნაშთები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.

მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულებების მახასიათებლის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 24(ა)-ში.

7. ხარჯები

(a) გაყიდვების თვითღირებულება

'000 ლარი	2019	2018
ონლაინ ტოტალიზატორის გადასახადი	13,688	17,097
საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდება	6,150	5,135
მარეგულირებელი და სალიცენზიო გადასახადები	1,188	1,040
პერსონალის ხელფასები და სარგებელი	937	850
ონლაინ ტოტალიზატორის თამაშების საკომისიო	577	5,358
	22,540	**29,480**

2018 წელს საკომისიო ონლაინ ტოტალიზატორზე მოიცავდა ერთ-ერთი საბუკმეიკერო პლატფორმის საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომელიც 2019 წლის პირველ მეოთხედში შეწყდა (იხილეთ შენიშვნა 7(d)).

(b) ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
ცვეთა და ამორტიზაცია	387	7
პროფესიული მომსახურება	237	110
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	144	-
კომუნალური ხარჯები	127	-
მივლინებები	42	5
კომუნიკაციის ხარჯები	37	-
ბანკის საკომისიო	19	43
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	8	533
წარმომადგენლობითი ხარჯები	6	-
საოფისე მარაგები	4	-
საოპერაციო იჯარები	-	39
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	20	6
	1,031	**743**

(c) მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
ზოგადი მარკეტინგული ხარჯები	1,288	255
სარეკლამო ხარჯები	76	402
	1,364	**657**

(d) სხვა საოპერაციო ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
სასამართლო დავების მოგვარების ანარიცხი*	2,170	-
ფინანსური მომსახურება (შენიშვნა 21(c)(1))**	360	360
ვებგვერდის მომსახურება (შენიშვნა 21(c)(2))**	142	142
სხვა	5	-
	2,677	**502**

* 2019 წლის 1-ელ მეოთხედში კომპანიამ მისი ერთ-ერთი საბუკმეიკერო პლატფორმის საქმიანობა გააუქმა. აღნიშნულმა ქმედებამ მომწოდებელთან უთანხმოება გამოიწვია,იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა ხელშეკრულება შეწყვეტილი კანონიერად.

დავა მომწოდებელთან მოგვიანებით, 2020 წლის თებერვალში გადაწყდა. იხილეთ შენიშვნა 22.

** ზემოთ აღნიშნული მომსახურების მიწოდებას ახორციელებს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანია შპს „ავიატორი" - (შემდგომში „მომსახურების მომწოდებელი"), იხილეთ შენიშვნა 21 (გ).

8. პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2019	2018
ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი	**1,081**	**850**

9. წმინდა ფინანსური ხარჯები

	2019	2018
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი	-	2,251
ფინანსური შემოსავალი	**-**	**2,251**
საპროცენტო ხარჯი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე	(93)	(2,387)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით წარმოშობილი წმინდა ზარალი	(39)	(136)
ფინანსური ხარჯები	**(132)**	**(2,523)**
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	**(132)**	**(272)**

10. ძირითადი საშუალებები

'000 ლარი	კომპიუტერული ტექნიკა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	16	-	-	16
შესყიდვები	-	1	-	1
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**16**	**1**	**-**	**17**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	16	1	-	17
შესყიდვები	930	342	597	1,869
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**946**	**343**	**597**	**1,886**
ცვეთა				
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	(8)	-	-	(8)
ცვეთა 2018 წლის განმავლობაში	(7)	-	-	(7)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**(15)**	**-**	**-**	**(15)**
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(15)	-	-	(15)
ცვეთა 2019 წლის განმავლობაში	(143)	(37)	(29)	(209)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**(158)**	**(37)**	**(29)**	**(224)**
საბალანსო ღირებულებები				
2018 წლის 31 დეკემბერს	**1**	**1**	**-**	**2**
2019 წლის 31 დეკემბერს	**788**	**306**	**568**	**1,662**

ძირითადი საშუალებების შესყიდვები უმეტესწილად წარმოადგენს ახალ აღჭურვილობას, რომელიც შესყიდულია საბუკმეიკერო დაწესებულებების ოპერირებისთვის. შეძენილი აქტივები ექსპლუატაციაში 2019 წლის ბოლო მეოთხედში შევიდა. 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ხელმძღვანელობამ გამოავლინა მაჩვენებელი იმისა, რომ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელშიც ძირითადი საშუალებებია შესული, შესაძლოა იყოს გაუფასურებული, ბიზნესის ზარალიანობის გამო. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შემადგენლობაში შემავალი აქტივების აღდგენადი ღირებულება შეფასებულია შემდეგნაირად -მათ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული მათი თვითღირებულება ჩამოწერისას. აღდგენადი ღირებულება შეფასებულია აქტივების საბალანსო ღირებულებაზე მაღალი ოდენობით და გაუფასურება არ არის აღიარებული. სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ჩამოწერის ღირებულება შეფასებულია იდენტური აქტივების დაკვირვებადი კოტირებული ფასების მიხედვით და ხელმძღვანელობა ჩამოწერის ღირებულების აღრიცხვის მიზნით იყენებს 10%-იან კორექტირებას შემცირების მიმართულებით.

რადგან ძირითადი საშუალებების დიდი ნაწილი 2019 წლის ბოლოსთვის იქნა შეძენილი და შეყვანილი ექსპლუატაციაში, ხელმძღვანელობას ტექნოლოგიური ან ფიზიკური დაძველების არანაირი მახასიათებელი არ გამოუვლენია. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული ჩამოწერის ღირებულების 10%-იანი შემცირება არ გამოიწვევს ძირითადი საშუალებების აღდგენადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა დაწევას.

გამოყენების უფლების მქონე აქტივების აღდგენადი ღირებულება შეფასებულია გგამოყენების უფლების მქონე აქტივის ქვე-იჯარიდან შემოსული მომავალი ფულადი ნაკადების მიხედვით. (იხილეთ შენიშვნა 18). მომავალი ფულადი ნაკადები ქვე-იჯარებიდან დისკონტირებულია 14%-იანი და 10%-იანი განაკვეთებით ლარში და აშშ დოლარში დენომინირებული ხელშეკრულებებისთვის, შესაბამისად (იხილეთ შენიშვნა 5(d)). დისკონტირების განაკვეთის გონივრულ ცვლილებას არ ექნებოდა არსებითი გავლენა აქტივები გამოყენების უფლებით აღდგენად ღირებულებაზე.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	951	13
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**951**	**13**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის შპს „საბარკოს" მიმართ არსებულ მოთხოვნებს. 2019 წელს 908 ათასი ლარი გადაცემულ იქნა დაკავშირებულ მხარეზე - შპს „Skycorp"-ზე, რომელიც აღიარებულ იქნა, როგორც მიმდინარე მოთხოვნა. მოგვიანებით 2019 წელს, კომპანიას, შპს „Skycorp"-სა და მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიას, შპს „საბარკოს" შორის დადებული სამმხრივი გარიგების ფარგლებში, მოთხოვნა შპს „Skycorp"-ის მიმართ კონვერტირებულ იქნა მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ მოთხოვნად.

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული სალაროში	170	-
ფულადი სახსრები ბანკში	71	1
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**241**	**1**

13. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას.

2019 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ მომხდარა. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის საწესდებო კაპიტალი 20 ათასი ლარით გაიზარდა.

(b) დივიდენდები

2019 და 2018 წლების განმავლობაში არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება.

14. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას.

სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა.

კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ვალდებულება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ ფინანსური მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში*	11,296	5,654
სხვა ვალდებულება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ (შენიშვნა 17(b))	7,122	3,937
სავაჭრო ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	3,389	2,033
სახელფასო ვალდებულება	35	-
სხვა ვალდებულებები	743	-
	22,585	**11,624**

*ვალდებულება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ ასახავს შპს „ავიატორისგან" ფინანსური მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში ზედმეტობით მიღებულ თანხას (იხილეთ შენიშვნა 21(გ)).

ინფორმაცია კომპანიის სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე, რომლებიც სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან არის დაკავშირებული, განხილულია მე-19 შენიშვნაში.

16. საგადასახადო ვალდებულებები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ტოტალიზატორის საგადასახადო ვალდებულება	1,202	1,165
სხვა საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	(159)	(382)
	1,043	**783**

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება უნდა მოხდეს ერთიან სახაზინო ანგარიშზე.

17. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების შესახებ იხილეთ მე-19 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიმდინარე ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებისგან	-	3,177
სულ სესხები და კრედიტები	**-**	**3,177**

(a) სესხების დაფარვის ვადები და პირობები

დაუფარავი სესხების ვადები და პირობები იყო შემდეგი:

				31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველ-ყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	12%	2019	-	-	3,177	3,177
სულ პროცენტიანი ვალდებულებები				**-**	**-**	**3,177**	**3,177**

(b) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

'000 ლარი	საბანკო ოვერდრაფტი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	-	3,177
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**-**	**-**
საპროცენტო ხარჯი	-	9
სესხების ვალდებულებებად კონვერტაცია*	-	(3,186)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**-**	**(3,177)**
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**-**	**-**

'000 ლარი	საბანკო ოვერდრაფტი	სესხები და კრედიტები
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	1,200	26,026
შემოსულობები სესხებიდან	-	1,439
ოვერდრაფტის დაფარვა	(1,200)	-
პროცენტის დაფარვა	(251)	(116)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	**(1,451)**	**1,324**
საპროცენტო ხარჯი	251	2,136
ურთიერთგაქვითვა გაცემულ სესხებთან	-	(22,372)
სესხების ვალდებულებებად კონვერტაცია*	-	(3,937)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	**251**	**(24,173)**
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**-**	**3,177**

* უმცირესობაში მყოფი აქციონერის მიმართ არსებული სესხი მხარეებს შორის დადებული სამმხრივი ხელშეკრულების თანახმად, დაკონვერტირდა ვალდებულებად მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის, შპს „ავიატორის მიმართ (იხილეთ შენიშვნა 15).

18. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარით იღებს საოფისე სივრცეს და სივრცეებს ტოტალიზატორის საბუკმეიკერო დაწესებულებებისთვის. იჯარები, როგორც წესი, გრძელდება 2-4 წლამდე ვადით, რომლებიც ავტომატურად არის გაგრძელებული დამატებითი 2 წლით, თუ არ არის შეწყვეტილი მხარეების მიერ. ხელმძღვანელობა აფასებს, რომ საიჯარო ვადა გაგრძელდება თავდაპირველ სახელშეკრულებო ვადაზე დიდხანს, რადგან საიჯარო გაუმჯობესებების ნარჩენი სასარგებლო მომსახურების ვადები აჭარბებს იჯარის თავდაპირველ სახელშეკრულებო ვადას.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე, წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) წლის გავლენა

'000 ლარი	ოფისი და საბუკმეიკერო დაწესებულებები
აქტივები გამოყენების უფლებით	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	20
შესყიდვები	1,698
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,718**
ცვეთა	
ცვეთის დარიცხვა 2019 წლის განმავლობაში	(158)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(158)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,560**
საიჯარო ვალდებულება	
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 1 იანვარს	20
შესყიდვები	1,698
პროცენტის დარიცხვა	76
საიჯარო ვალდებულების გადახდები	(86)
გადახდილი პროცენტი	(76)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	3
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,635**

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2019
2019 – იჯარები ფასს 16-ის ფარგლებში	
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	76
2018 – საოპერაციო იჯარები ბასს 17-ის ფარგლებში	
იჯარის ხარჯი	39

(iii) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

'000 ლარი	2019
საიჯარო ვალდებულებების დაფარვები (-)	(86)
გადახდილი პროცენტი (-)	(76)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	**(162)**

19. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეთა შორის

სტანდარტულ ოპერაციებში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირი თანხისა და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებთან.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ 19(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ 19(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ 19(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

აღმასრულებელ დირექტორს აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე. მის მოვალეობაში აგრეთვე შედის კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავება და მონიტორინგი და კომპანიის საქმიანობის შედეგების აქციონერისთვის წარდგენა.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა შეიქმნა იმისათვის, რომ დადგინდეს და გაანალიზდეს კომპანიის წინაშე მდგარი რისკები, განისაზღვროს რისკის სათანადო ზღვარი და კონტროლის მექანიზმები, ასევე განხორციელდეს რისკების მონიტორინგი და დადგენილი ზღვრის მკაცრი დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად განიხილება, რათა აისახოს შესაბამისი ცვლილებები საბაზრო პირობებში და კომპანიის საქმიანობაში. კომპანია მრავალმხრივი ტრენინგების, მენეჯერული სტანდარტებისა და პროცედურების დანერგვით, ცდილობს განავითაროს მოწესრიგებული და კონსტრუქციული გარემო, სადაც თანამშრომლებს გაცნობიერებული ექნებათ თავიანთი ფუნქციები და ვალდებულებები.

მშობელი კომპანია ზედამხედველობას უწევს, თუ რამდენად შეესაბამება ხელმძღვანელობა კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს და განიხილავს რისკების მართვის ჩარჩოების ადეკვატურობას იმ რისკებთან მიმართებით, რომლის წინაშეც დგას კომპანია.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მფლობელი მეორე მხარე ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანიის საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე ძირითადად, თითოეული კონტრაგენტის ინდივიდუალური მახასიათებლები ახდენს გავლენას. გეოგრაფიულად, საკრედიტო რისკი ძირითადად საქართველოშია კონცენტრირებული.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც მოიცავს მოთხოვნებთან მიმართებით მის მიერ მოსალოდნელი ზარალის პროგნოზირებას. მოცემული რეზერვის ძირითადი შემადგენელი ნაწილია კონკრეტული ზარალის კომპონენტი, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დაქვემდებარებებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და გაცემული სესხების მაქსიმალური საკრედიტო რისკი სააღრიცხვო თარიღისთვის არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება	
'000 ლარი	**31 დეკემბერი 2019**	**31 დეკემბერი 2018**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	71	1
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	100
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	951	13
	1,022	**114**
საკრედიტო ვალდებულებები	**-**	**303,152**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს 908 ათასი ლარის ოდენობით ნაშთს მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის - შპს „საბარკოს" მიმართ. ნაშთი წარმოადგენს მიმდინარე მოთხოვნას და ხელმძღვანელობის შეფასებით 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არაარსებითი. ხელმძღვანელობის შეფასება დაფუძნებულია უმრავლესობასა და უმცირესობაში მყოფი აქციონერებისგან მიღებულ მხარდაჭერის წერილზე, რომელშიც ასახულია აქციონერთა განზრახვა სრულად დააკმაყოფილონ მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ არსებული მოთხოვნების ნაშთები.

2018 წლის განმავლობაში, კომპანია ასევე ექვემდებარებოდა გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ საკრედიტო რისკს, რომლებიც დადებულია კომპანიის მიერ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში შემავალი კონტრაგენტების დავალიანების უზრუნველყოფისთვის (იხილეთ შენიშვნა 20(გ)). საკრედიტო რისკი არასაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განსაზღვრულია, როგორც ზარალის გაწევის ალბათობა ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტის მხრიდან მისი სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელმძღვანელობის შეფასებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი იყო არაარსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

2019 წელს კომპანია გათავისუფლდა მისი საკრედიტო ვალდებულებებისგან უმრავლესობაში მყოფი აქციონერის მიერ მშობელი კომპანიის 51%-იანი წილის შესყიდვის შედეგად.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო ხაზების საშუალებით.

2019 წლის 31 დეკემბერს ხელმძღვანელობამ მოახდინა კომპანიის ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლებისა და ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. კომპანიის საოპერაციო შედეგები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო უარყოფითი. ამასთანავე, 2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიას ჰქონდა წმინდა მიმდინარე ვალდებულების პოზიცია. ქვემოთ ჩამოთვლილი შემამსუბუქებელი ფაქტორების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად, და რომ ხელმძღვანელობის მოქმედი საწარმოს დაშვება საანგარიშგებო თარიღისთვის შესაბამისია.

ხელმძღვანელობის ზემოაღნიშნული დაშვება ეფუძნება შემდეგ ფაქტებს:

- მშობელმა კომპანიამ გამოთქვა მზადყოფნა, საჭიროების შემთხვევაში უახლოეს მომავალში უზრუნველყოს კომპანიის ფინანსური და სხვა ტიპის მხარდაჭერა, რათა მისცეს კომპანიას საშუალება განაგრძოს მისი საოპერაციო საქმიანობა. მშობელი კომპანიის პირდაპირი კონტროლის ქვეშ იმყოფება რამდენიმე ბიზნეს საწარმო, რომლებიც ოპერირებენ ინტერნეტ პლატფორმის - www.adjarabet.com-ის მეშვეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვა ბიზნეს საწარმოების (რომლებიც ოპერირებენ ვებგვერდის www.adjarabet.com-ის მეშვეობით), ერთობლივი ფინანსური მაჩვენებლები აკომპენსირებს კომპანიის უარყოფით საოპერაციო შედეგებს (იხილეთ შენიშვნა (b)). ;

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები საანგარიშგებო თარიღისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული სახით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და გამორიცხავს ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენას.

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნა-მდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,428	15,428	11,296	4,132	-	-	-	-
ვალდებულება მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიმართ	7,122	7,122	7,122	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულებები	1,635	2,350	-	229	211	421	989	500
	24,185	**24,900**	**18,418**	**4,361**	**211**	**421**	**989**	**500**

31 დეკემბერი 2018

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნა-მდე	0-6 თვემდე	6-12 თვემდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები								
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,687	7,687	5,654	2,033	-	-	-	-
საბანკო ოვერდრაფტი	3,937	3,937	3,937	-	-	-	-	-
სესხები და კრედიტები	3,177	3,287	-	3,287	-	-	-	-
საკრედიტო ვალდებულებები (შენიშვნა 20(c))	-	303,152	303,152	-	-	-	-	-
	14,801	**318,063**	**312,743**	**5,320**	**-**	**-**	**-**	**-**

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკებს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ტოტალიზატორთან დაკავშირებული რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის ძირითად ნაწილს. კომპანიას გააჩნია ცალკე დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია საბუკმეიკერო და ონლაინ ტოტალიზატორის რისკების მართვაზე.

სავალუტო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკის წინაშე, იმ შესყიდვებთან მიმართებაში რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული აღნიშნული ოპერაციები, არის ევრო, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი და აშშ დოლარი:

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	გირვანქა სტერლინგში დენომინირებული 31 დეკემბერი 2019	აშშ დოლარში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018	ევროში დენომინირებული 31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(104)	(3,015)	(736)	(303)	(1,717)
საიჯარო ვალდებულებები	(18)	-	-	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	67	1	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	908	28	-	-	-
წმინდა დაქვემდებარება	**853**	**(2,986)**	**(736)**	**(303)**	**(1,717)**

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2019	2018	2019	2018
აშშ დოლარი	2.8192	2.5345	2.8677	2,6766
ევრო	3.1553	2.9913	3.2095	3.0701
გირვანქა სტერლინგი	3.5964	3.3812	3.7593	3.3955

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბერს ლარის კურსის გონივრული შესაძლო 10%-იანი გამყარება ევროს, გირვანქა სტერლინგსა და აშშ დოლართან მიმართებით, გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასა და მოგებაზე ან ზარალზე დაბეგვრამდე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი მიიჩნევს, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის გამორიცხავს საპროგნოზო შემოსავლებისა და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2019	
ევრო (10%-იანი შესუსტება)	299
აშშ დოლარი (20%-იანი შესუსტება)	(171)
გირვანქა სტერლინგი (10%-იანი შესუსტება)	74

'000 ლარი	მოგება ან ზარალი
31 დეკემბერი 2018	
ევრო (10%-იანი შესუსტება)	(172)
აშშ დოლარი (10%-იანი შესუსტება)	(30)

ევროსთან, გირვანქა სტერლინგთან და აშშ დოლართან მიმართებით ლარის გაუფასურებას 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ექნება იგივე, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოთ წარმოდგენილ ვალუტებზე ზემოთ წარმოდგენილი ოდენობებით, იმ შემთხვევაში თუ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირველ რიგში მოქმედებს სესხებსა და კრედიტებზე მათი სამართლიანი ღირებულების (ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხი) ან მომავალი ფულადი ნაკადების (ცვლადგნაკვეთიანი სესხი) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხებისა და კრედიტების მოზიდვის დროს ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იმის გადასაწყვეტად, იქნება თუ არა ფიქსირებული ან ცვლადი განაკვეთი მეტად სასურველი კომპანიისთვის მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, დაფარვის ვადის დადგომამდე.

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(1,635)	(3,177)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, ცვლილებას საპროცენტო განაკვეთებში ანგარიშგების თარიღისთვის არ ექნება გავლენა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

20. პირობითი ვალდებულებები

(a) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო დავები და საჩივრები, რომელთაც შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეთ კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო

წელიწადი რჩება ღია საგადასახადო ორგანოების მხრიდან მიმოხილვისთვის სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელიწადი შეიძლება ღია დარჩეს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. დაკავშირებული მხარეები

(a) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სრულად ფობს შპს „ატლასი" (მშობელი კომპანია). 2019 წლის 31 დეკემბრისთვის „Flutter Entertainment PLC" ფლობდა კომპანიის აქციების 51%-ს და ბატონი თეიმურაზ უგულავა ფლობდა კომპანიის 49%-იან წილს. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო ბატონი თეიმურაზ უგულავა.

(b) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გაწეულია და გადახდილია მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის მიერ.

'000 ლარი	2019	2018
ხელფასები და ბონუსები	390	214

(c) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება		დაუფარავი ნაშთი	
	2019	2018	2019	2018
შესყიდული მომსახურება:				
დაკავშირებული მხარის კომპანია – შპს „ავიატორი"*	(510)	(502)	(18,569)	(9,591)
დაკავშირებული მხარის კომპანია – შპს „Skycorp"**	-	(4,251)	-	-
უმცირესობაში მყოფი აქციონერისგან აღიარებული ოფისის იჯარა ფასს 16-ის ფარგლებში	(3)	-	(18)	-
სხვა	37	(44)	69	(2)
გაცემული სესხები:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარე	-	(21,268)	-	-
მიღებული სესხები:				
საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია	(9)	(21,504)	-	(3,177)

ცხრილში წარმოდგენილი ნაშთები არ არის უზრუნველყოფილი. მიმდინარე პერიოდში არ მომხდარა დაკავშირებული მხარეების მიმართ უიმედო ან საეჭვო სესხის დავალიანების ოდენობაზე ხარჯების აღიარება.

*კომპანიამ მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიასთან - შპს „ავიატორთან" ორი ხელშეკრულება გააფორმა (მომსახურების მომწოდებელი):

1) ფინანსური მომსახურების გაწევა - შპს „ავიატორი" უზრუნველყოფს მომხმარებელთა ფსონებისა და მოგებების ასახვას; კომპანია ახორციელებს მომხმარებლებისთვის მოგებების განაწილებასა და წმინდა შედეგის კომპანიაზე გადარიცხვას თვეში 30 ათასი ლარის ფიქსირებული გადასახადის სანაცვლოდ.

2) დომეინისა და ვებგვერდის გამოყენება - შპს ავიატორი კომპანიას აძლევს დომეინის: http:/bookmakers.adjarabet.com და ვებგვერდის: www.adjarabet.com გამოყენების ნებართვას ყოველთვიური გადასახადის - 12 ათასი ლარის სანაცვლოდ.

შპს „ავიატორი" კომპანიისთვის მოქმედებს როგორც აგენტი, აგროვებს რა ონლაინ ტოტალიზატორის შედეგებს და ტოტალიზატორის საქმიანობის წმინდა შედეგებს გადასცემს კომპანიას. ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობის შედეგები იყო 22,448 ათასი ლარი და 23,033 ათასი ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის/პერიოდისთვის და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის/პერიოდისთვის, შესაბამისად.

** 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ დაკავშირებული მხარის კომპანიის შპს „Skycorp"-ის საშუალებით შეიძინა საბუკმეიკერო ინფორმაცია.

საკრედიტო ვალდებულებები

2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანია იყო დაკავშირებული მხარეების სასესხო ვალდებულებების გარანტორი 303,152 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წელს კომპანია გათავისუფლდა საკრედიტო ვალდებულებებისგან უმრავლესობაში მყფოი აქციონერის მიერ მშობელი კომპანიის 51%-იანი წილის შეძენის შედეგად (შენიშვნა 19(b)(ii)).

22. შემდგომი მოვლენები

(a) შერწყმა

კომპანიამ მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიასთან შპს „ავიატორთან" შერწყმის პროცესი დაიწყო 2020 წლის დასაწყისში. პროცესი სავარაუდოდ დასრულდება 2020 წლის ბოლოსთვის. შერწყმის შედეგად, მშობელი კომპანიის სხვა შვილობილი კომპანიის ბიზნეს საქმიანობა გაგრძელდება, შპს „ავიატორის" ნაწილის სახით, რომელიც მოქმედ იურიდიულ პირს წარმოადგენს.

(b) COVID-19 -ის აფეთქება

COVID-19-ის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში, რასაც მოჰყვა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2020 წლის 31 დეკემბერს გაკეთებული განცხადება კორონავირუსის პანდემიად გამოცხადების შესახებ, ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

COVID-19-ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსსასაზღვრო გადაადგილებაზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით.

ზემოაღნიშნული ზომების, განსაკუთრებით, სპორტული ღონისძიებების დახურვის და კომპანიის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ COVID-19-ის აფეთქებას ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ სხვა ბიზნესების ზოგადი ფინანსური შედეგები, რომლებიც ვებგვერდ www.adjarabet.com-ის საშუალებით საქმიანობენ, კომპანიის უარყოფით შედეგებს აანაზღაურებს. თუმცა, ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ გახანგრძლივებულ საკარანტინე პერიოდს, ზომების სიმკაცრის ზრდას ან მსგავსი ზომების შემდგომ უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები შექმნილ ვითარებას. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად (მათი მოხდენისას) მიიღებს საპასუხო ზომებს.

(c) დავის გადაწყვეტა

კომპანიამ მისი ერთ-ერთი საბუკმეიკერო პლატფორმის ოპერირება 2019 წლის პირველი მეოთხედიდან შეწყვიტა. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია უთანხმოება პროვაიდერთან იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა ხელშეკრულება შეწყვეტილი კანონიერად.

დავა მოგვარდა 2020 წლის თებერვალში, საბუკმეიკერო პლატფორმის პროვაიდერთან ურთიერთშეთანხმებით, 742 ათას ევროდ (იხილეთ შენიშვნა 7(d)).

23. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებით და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ, გარდა სხვაგვარად მითითებულია (იხილეთ შენიშვნა 5).

(a) შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში. ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს გამოკლებულია მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების") და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ის დაქვითვის შემდგომ.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, კომპანია ტრანზაქციის ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათსა და ვადებზე, ასევე მათთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკებზე:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან	შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან წარმოადგენს ტოტალიზატორის საქმიანობაზე გამომუშავებულ საკომისიოს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. საკომისიო აღიარდება იმ თარიღში, როდესაც მოვლენის შედეგი განსაზღვრულია.

(b) გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება ძირითადად მოიცავს აზარტული თამაშების გადასახადებს (ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი), საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლებს, ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოებსა (საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლები და ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოები შეიცავს უკუდაბეგვრის დღგ-სა და არარეზიდენტის გადასახადს, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) და პირდაპირ დარიცხულ ხელფასს. ლიცენზიების ხარჯი ძირითადად მოიცავს საცალო საბუკმეიკერო ხარჯებს და აზარტული თამაშების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მოგებას ან ზარალს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი იმის მიხედვით, მოძრაობები უცხოურ ვალუტაში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაყვანილს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში არის დენომინირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე არის შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა ხელფასების, შვებულების, საავადმყოფო ბიულეტენის ხარჯის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მოხდა თანამშრომელთა მიერ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს პენსია ან მსგავსი სარგებელი.

(f) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, ასევე წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებსა და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში (მოგების გადასახადის გარდა).

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოაღნიშნული ზომების, განსაკუთრებით, სპორტული ღონისძიებების დახურვის და კომპანიის მიმდინარე საოპერაციო და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, სხვა ამჟამად ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციასთან ერთად, ხელმძღვანელობა არ მოელის რომ COVID-19-ის აფეთქებას ექნება მყისიერი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ სხვა ბიზნესების ზოგადი ფინანსური შედეგები, რომლებიც ვებგვერდ www.adjarabet.com-ის საშუალებით საქმიანობენ, კომპანიის უარყოფით შედეგებს აანაზღაურებს. თუმცა, ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ გახანგრძლივებულ საკარანტინე პერიოდს, ზომების სიმკაცრის ზრდას ან მსგავსი ზომების შემდგომ უარყოფით გავლენას ეკონომიკურ გარემოზე, ექნება უარყოფითი გავლენა კომპანიაზე საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. კომპანია ასევე ითვალისწინებს მოვლენათა უარყოფითი განვითარების ვარიანტებს და მზად არის შესაბამისად მოარგოს მისი საოპერაციო გეგმები შექმნილ ვითარებას. ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების შესამსუბუქებლად (მათი მოხდენისას) მიიღებს საპასუხო ზომებს.

(c) დავის გადაწყვეტა

კომპანიამ მისი ერთ-ერთი საბუკმეიკერო პლატფორმის ოპერირება 2019 წლის პირველი მეოთხედიდან შეწყვიტა. აღნიშნულმა ქმედებამ გამოიწვია უთანხმოება პროვაიდერთან იმასთან დაკავშირებით იყო თუ არა ხელშეკრულება შეწყვეტილი კანონიერად.

დავა მოგვარდა 2020 წლის თებერვალში, საბუკმეიკერო პლატფორმის პროვაიდერთან ურთიერთშეთანხმებით, 742 ათას ევროდ (იხილეთ შენიშვნა 7(d)).

23. შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

24. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებით და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული კომპანიის მიერ, გარდა სხვაგვარად მითითებულია (იხილეთ შენიშვნა 5).

(a) შემოსავალი

ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებით მიღებული შემოსავალი პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია გაკეთებული ფსონებიდან წმინდა მოგების ან ზარალის სახით, წამახალისებელი ხარჯების და ბონუსების გამოკლებით. კომპანიის ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებული ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღრიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო შეფასების შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, ისევე როგორც დასრულებული პოზიციებიდან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი, აღრიცხულია შემოსავალში. ონლაინ ტოტალიზატორის შემოსავალს გამოკლებულია მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეთების") და ბონუსების ხარჯები. შემოსავალი აღიარებულია დღგ-ის დაქვითვის შემდგომ.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, კომპანია ტრანზაქციის ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემა.

მოცემული ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულების შესრულების ხასიათსა და ვადებზე, ასევე მათთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკებზე:

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულების დაკმაყოფილების ხასიათი და ვადები და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები
შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან	შემოსავალი ტოტალიზატორის ფსონების გაცვლიდან წარმოადგენს ტოტალიზატორის საქმიანობაზე გამომუშავებულ საკომისიოს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. საკომისიო აღიარდება იმ თარიღში, როდესაც მოვლენის შედეგი განსაზღვრულია.

(b) გაყიდვების თვითღირებულება

გაყიდვების თვითღირებულება ძირითადად მოიცავს აზარტული თამაშების გადასახადებს (ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი), საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლებს, ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოებსა (საბუკმეიკერო ინფორმაციის მიწოდების მოსაკრებლები და ტოტალიზატორის თამაშების საკომისიოები შეიცავს უკუდაბეგვრის დღგ-სა და არარეზიდენტის გადასახადს, რომლებიც ანაზღაურებას არ ექვემდებარება) და პირდაპირ დარიცხულ ხელფასს. ლიცენზიების ხარჯი ძირითადად მოიცავს საცალო საბუკმეიკერო ხარჯებს და აზარტული თამაშების ლიცენზიების შესყიდვის ხარჯს.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მოგებას ან ზარალს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი იმის მიხედვით, მოძრაობები უცხოურ ვალუტაში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფულად ერთეულებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას სამუშაო ვალუტაში, კორექტირებულს ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში, და უცხოურ ვალუტაში არსებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაყვანილს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაში არის დენომინირებული და შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე არის შეფასებული, კონვერტირდება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) თანამშრომელთა სარგებელი

თანამშრომელთა ხელფასების, შვებულების, საავადმყოფო ბიულეტენის ხარჯის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც მოხდა თანამშრომელთა მიერ მომსახურების გაწევა. კომპანიას არ აქვს მიმდინარე სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს პენსია ან მსგავსი სარგებელი.

(f) მოგების გადასახადი

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, ასვე წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირება. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომელთათვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც ხორციელდება დივიდენდების გადახდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებსა და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. კომპანია ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და აღრიცხავს სხვა გადასახადების მუხლში (მოგების გადასახადის გარდა).

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს და შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) ონლაინ ტოტალიზატორის მოგების გადასახადი

გადასახადი აზარტულ თამაშებზე წარმოადგენს დარიცხულ თანხებს საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებშიც საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ბუნდოვანია. ადგილობრივი საგადასახადო კანონების და მათი ერთმანეთთან ურთიერთკავშირის ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია განსჯა და ვარაუდი, რათა მოხდეს მოცემულ, ტოტალიზატორის გადასახადებთან მიმართებით, ანარიცხების აღიარება და შეფასება, შესაბამისობის შემთხვევაში.

ონლაინ ტოტალიზატორზე მიღებული ფსონების შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადით, რომელიც წარმოადგენს 7%-ს ბრუტო შემოსავალიდან (ანუ მიღებული ფსონებიდან) 2019 და 2018 წლების განმავლობაში.

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის ღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სასესხო ხარჯების კაპიტალიზაციას, აქტივის დემონტაჟის, გატანის და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით. როდესაც ძირითადი საშუალების ცალკეულ მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასიცოცხლო ვადა აქვთ, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე (მთავარი კომპონენტები), როგორც აღნიშნული აქტივის შემადგენელი კომპონენტები.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. მოხსნილი ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

მიწას ცვეთა არ ერიცხება. მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება, სანამ აქტივი ექსპლუატაციაში არ შევა. ცვეთა აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით ინდივიდუალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადები
ომპიუტერული ტექნიკა	1 - 8 წლამდე
აოფისე აღჭურვილობა	1 - 10 წლამდე
ხვა	3 - 5 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს იმ თანხას, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის რეალიზაციის შედეგად, გამოკლებული რეალიზაციისთვის გაწეული დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ აქტივის სასიცოცხლო ვადა იქნებოდა სრულად გამოყენებული და შესაბამის მდგომარეობაში, რაც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგო პერიოდის ბოლოს და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები" ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და ზოგიერთი არაფინანსური ერთეულების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების აღიარებასა და შეფასებისთვის იყენებს.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება, როდესაც კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად ფასდება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - სავალო ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას მანამ, სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავალო ინვესტიცია აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს შემდგომ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

თავდაპირველი აღიარებისას კაპიტალის ინვესტიციისთვის, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი ხორციელდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია უპირობოდ აღიაროს ფინანსური აქტივი, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს პირობებს, როგორც შეფასებადი ამორტიზირებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფინანსური აქტივების შემდეგ კატეგორიებს: სავაჭრო მოთხოვნებს (შენიშვნა 11) და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 12), შეზღუდულ ფულად სახსრებსა და გაცემულ სესხებს რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, უცხოური გაცვლითი კურსით გამოწვეული მოგება ან ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ნაშთებს 3-თვიანი ან ნაკლები დაფარვის ვადით შეძენის დღიდან, რომლებიც ექვემდებარებოდა სამართლიან ღირებულებაში ცვლილებების არაარსებით რისკს.

ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ზარალში ასახვით, თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ასეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს, არსებითად იცვლება თუ არა შეცვლილი აქტივიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება"), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივი ჩამოიწერება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუ არა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს, არსებითია თუ არა ცვლილება, რაოდენობრივ და ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით შემდეგი თანმიმდევრობით: ხარისხობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომელიც SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას იწვევს (მაგ. კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული შეცვლილი აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს, როგორც შემოსულობის ან ზარალის კორექტირებას მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება, როგორც

შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს შეცვლილ ფინანსურ აქტივს და არის ამორტიზებული შეცვლილი ფინანსური აქტივის დარჩენილი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. ჩამოწერილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ, შეცვლილ პირობებიან ფინანსურ ვალდებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას, კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის შეწყვეტას, ანუ კომპანია აღიარებს ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ასეთი ცვლილების (ან გაცვლის) შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ კორექტირებას მოგებაში ან ზარალში ცვლილების (ან გაცვლის) თარიღისთვის.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა ცვლილებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად, ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ის მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია რაოდენობრივად და ხარისხობრივად აფასებს, არსებითია თუ არა ცვლილება, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ხარისხობრივი ფაქტორები, რაოდენობრივი ფაქტორები, ხარისხობრივი და რაოდენობრივი ფაქტორების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ფინანსური ვალდებულების კურსის ცვლილება;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა სასესხო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები, თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აღიარებულია, როგორც ვალის განულებიდან მიღებული მოგება ან ზარალი. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საკომისიო აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(iv) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც თითქმის ფინანსური აქტივის ფლობის ყველა რისკი და სარგებელი მოიაზრება, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებსა და სარგებელს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივის აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორისა და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(v) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგაქვითული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი იყოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს ურთიერთგაქვითვის იურიდიულად აღსრულების უფლება და ის ანგარიშსწორებას აპირებს წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად გააჩნია ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება, თუ ეს უფლება არ არის პირობითი და დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და გამოყენებადია როგორც ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ასევე დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან კომპანიის და ყველა სხვა კონტრაგენტების გაკოტრების შემთხვევაში.

(i) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვებს აღიარებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის:

კომპანია აფასებს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომელთაც სააღრიცხვო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და

- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდისა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციასა და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, დასაბუთებული საკრედიტო შეფასებისა და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს, როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

– ნაკლებ სავარაუდოა, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); ან
– ფინანსურ აქტივს 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია მიიჩნევს, რომ სასესხო ფასიან ქაღალდს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, როდესაც მისი საკრედიტო რეიტინგი ტოლია გლობალურად მიღებული განმარტებისა „ინვესტიციის ხარისხი".

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებიდან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებიდან (ან უფრო მოკლე ვადაში, თუ ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი სააღრიცხვო თარიღისთვის, კომპანია აფასებს, არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებულ კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია", როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად, დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურიზაცია იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებელის გაკოტრება ან სხვა ტიპის ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფასიანი ქაღალდის აქტიური ბაზრის გაქრობა.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას. სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი აისახება მოგებაში ან ზარალში და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მაშინ, როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების იმედი. ინდივიდუალური მომხმარებლების შემთხვევაში, როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებისაა, კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული მომხმარებლებისთვის კომპანია ინდივიდუალურად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობასა და ვადებს იმის მიხედვით, არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის ჩამოწერილი თანხიდან არსებითი ოდენობის ამოღებას. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(j) ფინანსური გარანტიები

ფინანსური გარანტიები წარმოადგენს ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც კომპანიას მოეთხოვება კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც წარმოიქმნება მაშინ, როდესაც კონკრეტული მევალე ვერ ახერხებს გადახდის განხორციელებას მისი ვადის დადგომის დროს, სასესხო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად.

გაცემული ფინასური გარანტიები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. შემდგომ, ისინი ფასდება შემდეგნაირად:

- *2018 წლის 1 იანვრიდან:* ფასს 9-ის მიხედვით გამოთვლილ ზარალის რეზერვსა და თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას შორის უდიდესით (გამოკლებული, შესაბამისობის შემთხვევაში, ფასს 15-ის მიხედვით აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობა); და

- *2018 წლის 1 იანვრამდე:* თავდაპირველ, სამართლიანი ღირებულების ამსახველ ოდენობასა (ამორტიზირებული გარანტიის ან ვალდებულების მოხმარების მანძილზე) და ნებისმიერ, ვალდებულების დასაფარად განხორციელებული (როდესაც გადახდა ხელშეკრულების ფარგლებში, ხდება სავარაუდო) მოსალოდნელი გადახდების, მიმდინარე ღირებულებას შორის უდიდესით.

(k) იჯარები

კომპანიამ ფასს 16-ი მიიღო მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით და მაშასადამე შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები განხილულია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან ცვლილების დროს, კომპანია ანაწილებს სახელშეკრულებო ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე მათი ფარდობითი ცალკეული ფასების მიხედვით. თუმცა, ქონების იჯარებისთვის კომპანიამ აირჩია არ განაცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და იჯარა და არასაიჯარო კომპონენტები აღრიცხოს ერთი იჯარის კომპონენტის სახით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდთ, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით" ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით" პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის მზარდ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე ფინანსური წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და მათი გარკვეული კორექტირებით, საიჯარო პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით" ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახედილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით ფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის.

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით" და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე აფუძნებს, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისთვის და მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

2019 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული პოლიტიკა

(ii) როგორც მოიჯარე

შესადარის პერიოდში, კომპანიას არ ჰქონდა ფინანსურ იჯარებად კლასიფიცირებული იჯარები.

სხვა იჯარების ფარგლებში ფლობილი აქტივები კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარების სახით და არ იყო აღიარებული კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საოპერაციო იჯარების ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე. მიღებული საიჯარო სტიმულირება აღიარდა მთლიანი საიჯარო ხარჯის განუყოფელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის მანძილზე.

(l) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

25. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტებისა, რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- *კორექტირებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებებში.*
- *ბიზნესის განმარტება (ფასს 3-ის კორექტირებები).*
- *არსებითის განმარტება (ბასს 1-ისა და ბასს 8-ის კორექტირებები).*
- *საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა (ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ის კორექტირებები).*
- *ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები*
- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის შესწორებები)*



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200593494
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.08.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი , შ. რუსთაველის გამზ. N 46, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96039302415320

მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. #46, სართული 2-ში.
ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № # 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის სინამდვილეს წინამდებარე დოკუმენტის, ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანს.თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.
მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.
გადახდილიასანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 1 ეგზემპლარზე შესრულებული 43 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 86 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 31-ემუხლისა), დარეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს დადგენილების #507-ის 39-ემუხლისა): _ სულ გადახდილია 88 ლარი და 00 თეთრი.

ნოტარიუსი
ლანა მაჭავარიანი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge, ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18